https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.01

ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის განვლილი გზა (30-წლიანი ქრონიკა)

THE JOURNEY OF THE SCIENTIFIC-RESEARCH CENTER OF KARTVELOLOGY (A 30-YEAR HISTORY)

ეკა დადიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Eka Dadiani
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The history of the Institute of Dialectology, with the Scientific-Research Center of Kartvelology as its successor, began in March 1992. Academician Magali Todua, the Rector of Akaki Tsereteli State University, took the initiative to establish the Laboratory of Kartvelian Languages, Dialects, and Folklore, which he also led.

In August 1992, the Laboratory of Kartvelian Languages, Dialects, and Folklore was renamed the Institute of Dialectology affiliated with Kutaisi Akaki Tsereteli State University. In December 1992, Tariel Putkaradze, Candidate of Sciences in Philology was appointed as the head of the Institute of Dialectology. T. Putkaradze led the newly-established Institute of Dialectology to become one of the powerful and acknowledged scientific-research centers in the country. Right from the beginning, the functions of the Institute were accurately identified. These include recording, documenting as well as scholarly study of the Kartvelian dialect materials, and description and examination of the language as well as ethnographic and cultural features of various regions of Georgia.

The extensive work undertaken by the Institute of Dialectology yielded a diverse and unique collection of sound recordings, incorporating material from different regions of Georgia. The uniqueness of the collection is attributed to the variety of topics covered and the advanced methodology and technology employed for recording and processing.

In 2005, the institution underwent a name change, transitioning from the Scientific-Research Institute of Dialectology to the Scientific-Research Institute of Kartvelian Dialectology.

In December 2011, as part of a structural reorganization at Akaki Tsereteli State University, the Scientific-Research Institute of Kartvelian Dialectology was integrated

into the newly-established Scientific-Research Center of the University, functioning as a scientific-research direction focused on Kartvelian dialectology.

In May 2017, the Scientific-Research Center of Kartvelology was established within the framework of the Scientific-Research direction of Kartvelian Dialectology. The Center was then integrated into the Faculty of Humanities of Akaki Tsereteli State University as a specific structural unit. Associate Professor Eka Dadiani is appointed as the head of the Center.

The Center encompasses two directions focusing on the study of

I. the Kartvelian dialectology, ethnography and folklore: †Tariel Putkaradze (head of the direction); researchers: Maia Mikautadze, David Shavianidze, Tinatin Milorava, Teona Machavariani;

II. the history and cultural heritage of the compatriots living abroad: Avtandil Nikoleishvili (head of the direction); researchers: Nestan Kutivadze, Sulkhan Kuprashvili, Luka Dvalishvili.

In 2021, the Scientific-Research Center of Kartvelology was named after Professor Tariel Putkaradze.

The Scientific-Research Center of Kartvelology has been involved in significant scholarly projects and activities over the past three decades.

International Scientific Conference 'Kutaisi Discussions' founded by Tariel Putkaradze is of special importance. The first one of the 'Kutaisi Discussions' took place on May 13-14, 1994, while the last one (i.e. the 18th Conference) took place on June 9-10, 2023 and was dedicated to the 90th and 30th anniversaries of the founding of Akaki Tsereteli State University and the Center of Kartvelology, respectively.

In 1997, as a result of T. Putkaradze's efforts and initiative, the scientific journal 'Kartvelian Heritage' was launched. Twenty-six volumes have been published to date. Since 2021, the journal has been indexed in ERIH PLUS, an international database of academic journals.

The organization of expeditions for scholars and students is associated with the name of T. Putkaradze.

The student academic conferences are regularly organized by the Center of Kartvelology.

National academic conference for MA and PhD students in the field of Kartvelian linguistics is an important scientific project that has been held regularly since 2007. The 15th conference was held on May 19 and 20, 2023.

The staff of the Center of Kartvelology has been actively involved in various grant projects and has contributed to academic publications, including monographs and collections of essays. Their academic works and dialect texts have appeared in various (national and international) publications and they have participated in local, national and international scientific conferences.

The Scientific-Research Center of Kartvelology, the successor of the Institute of Dialectology, is continuing the traditions established by Tariel Putkaradze and his colleagues over the past thirty years, and it is successfully applying their expertise to meet current challenges.

საკვანძო სიტყვები: ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ქართველური დიალექტური ტექსტების ჩაწერა-კვლევა, ტარიელ ფუტკარაძის ღვაწლი.
Keywords: Scientific-Research Center of Kartvelology, Scientific-Research Institute of Kartvelian Dialectology, Recording and researching Kartvelian dialect texts, Tariel Putkaradze's accomplishments.

დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დაარსებიდან 30 წელი გავიდა. დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მემკვიდრე არის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ცენტრის მიერ განვლილი გზა ჩვენი თვალხილული ისტორიის ნაწილია.

30 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა ცენტრის ცხოვრებაში; დღეს ჩვენს გვერდით აღარ არიან დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მთავარი შემოქმედები: აკადემიკოსი **მაგალი თოდუა** და პროფესორი **ტარიელ ფუტკარაძე**. ასევე, არაერთი მეცნიერი, კოლეგა, ვინც საქმით თუ სიტყვით ჩვენს გვერდით იდგა.

ამ ხნის განმავლობაში იცვლებოდა ინსტიტუტის სახელწოდება, სტატუსი, შემადგენლობა, ადგილსამყოფელი... მხოლოდ არ შეცვლილა ჩვენი მიზანი, სულისკვეთება და მუშაობის პრინციპები, გაფართოვდა და გაღრმავდა კვლევის თემატიკა.

მოკლედ გავიხსენოთ ქართველოლოგიის ცენტრის ისტორია:

დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ისტორია იწყება **1992 წლის** მარტიდან, როდესაც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს მაგალი თოდუას ინიციატივით და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით (ბრძანება №26, §4, 27.03.1992) უნივერსიტეტში შეიქმნა **ქართველური ენების, დიალექტებისა და ფოლკლორის შემსწავლელი ლაბორატორია.**

პირველ ეტაპზე ლაბორატორიაში შეიქმნა 3 ჯგუფი: 1. ქვემო იმერეთის, 2. სამეგრელოს, 3. მოპოვებული მასალების შემსწავლელი და საპუბლიკაციოდ მისი მომამზადებელი ჯგუფი. ლაბორატორია დაკომპლექტდა შემდეგი თანამშრომლებით (12 კაცი): მ. თოდუა (ლაბორატორიის ხელმძღვანელი), თ. ლოლაძე (ლაბორატორიის ხელმძღვანელის მოადგილე ადმინისტრაციულ დარგში), მეცნიერ-თანამშრომლები: ქ. დეკანოზიშვილი, რ. კაშია, რ. წაქაძე, მ. ქუთელია, რ. მორგოშია, ა. კუხალაშვილი, მ. ქაცარავა, კ. კუბლაშვილი, მ. ალავიძე, ნ. თედორაძე (უფროსი ლაბორანტი).

1992 წლის აგვისტოში (ბრძანება №93, §1, 18.08.1992) ქართველური ენების, დიალექტებისა და ფოლკლორის შემსწავლელ ლაბორატორიას ეწოდა **ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დიალექტოლოგიის ინსტიტუტი**. აქვე განისაზღვრა მისი ადგილსამყოფელი: აწსუ-ს III კორპუსის მე-4 სართული; ინსტიტუტი განთავსდა 4 ოთახში.

1992 წლის დეკემბერში (ბრძანება №163, §3, 25.12.1992) დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ტარიელ ფუტკარაძე, რომელსაც რეკომენდაცია გაუწიეს პროფ. თედო უთურგაიძემ და აკად. ქეთევან ლომთათიძემ.

ამავე ბრძანებით დამტკიცდა თანამშრომელთა შემდეგი შემადგენლობა: ტ. ფუტკარაძე (დირექტორი), მაგალი თოდუა (მთავარი კონსულტანტი), ვახტანგ დალაქიშვილი (ტექნიკური ლაბორატორიის გამგე), მიხეილ ალავიძე (კონსულტანტი), კლარა კუბლაშვილი (კონსულტანტი), მარინა ქაცარავა (რედაქტორ-კონსულტანტი), რუსუდან კაშია (მეცნიერ-თანამშრომელი), ციალა ბენდელიანი (მეცნიერ-თანამშრომელი), დავით შავიანიძე (მეცნიერ-თანამშრომელი).

გასული საუკუნის 90-იან წლები ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმესი და ურთულესი პერიოდი იყო როგორც პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ჩვეულებრივი რეალობა იყო აფხაზეთში ზარბაზნების გრიალი, სამეგრელოში მხედრიონის პარპაში, თბილისის ქუჩებში ავტომატიანების თარეში. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ქვეყანაში სამეცნიერო-კულტურული ცხოვრების მდინარება მინავლებულ-მისუსტებული იყო. ამ დროს კი ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დაარსება უდავოდ დიდი ეროვნული მნიშვნელობის ფაქტი იყო. ასევე მნიშვნელოვანი იყო ინსტიტუტის ხელმძღვანელად ახალგაზრდა მეცნიერის გამწესება, რაც მაშინდელი რექტორის გონივრული გადაწყვეტილება აღმოჩნდა. ტ. ფუტკარაძემ ქუთაისში შეძლო თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობებისა და ორგანიზატორული ნიჭის რეალიზება. მისი შესანიშნავი უნარებისა და პიროვნული თვისებების წყალობით ჩვენს უნივერსიტეტსა და ქალაქში უაღრესად მნიშვნელოვან და ეროვნული / სახელმწიფოებრივი ღირებულების პროექტებს ჩაუყარა საფუძველი.

ტარიელ ფუტკარაძემ ახლად დაარსებული ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტი ქვეყანაში ერთ-ერთ ძლიერ და წარმატებულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრად აქცია. იგი იმთავითვე ჩვეული მონდომებით და ენთუზიაზმით შეუდგა ინსტიტუტის რეორგანიზაციას, საქმის გარშემო შემოიკრიბა როგორც გამოცდილი სპეციალისტები, ასევე ახალგაზრდები და ძლიერი გუნდი ჩამოაყალიბა.

ინსტიტუტის ფუნქცია თავიდანვე მკაფიოდ განისაზღვრა: **ქართველური დიალექტური მასალების ჩაწერა-დოკუმენტირება და მეცნიერული შესწავლა; საქართველოს სხვადასხვა კუთხის მეტყველების, ეთნოგრაფიული და კულტურული მახასიათებლების აღწერა, კვლევა.**

პირველივე ეტაპზე ჩამოყალიბდა დიალექტური ტექსტების მომძიებელთა ჯგუფები (სამეგრელო /ხობი – ქვემო ქვალონი; მარტვილი – დიდი ჭყონი, აბაშა: ძველი აბაშა/, სვანეთი /მესტია: ლენჯერი, ლატალი, მელე/, ოკრიბა /ორპირი, კურსები/, ქუთაისი, ხონის/მათხოჯი, კუხი/, რაჭა, საჩხერე).

ტ. ფუტკარაძემ დანერგა კვლევის ახალი, კომპლექსური მეთოდი, რაც გულისხმობდა ველზე მასალის მოპოვებას დიალექტოლოგის, ეთნოგრაფისა და ფოლკლორისტის მიერ, მათს კოორდინირებულ მუშაობას. თითოეული ჯგუფი ხანგრძლივად (2-3 წლის განმავლობაში) მუშაობდა საკვლევ რეგიონში, აკვირდებოდა სოფლის მეტყველებას, ყოფა-ცხოვრებას, ზეპირსიტყვიერებას...

ამგვარი კომპლექსური მუშაობის შედეგადაც შეიქმნა უმდიდრესი ფონოთეკა, რომელიც მოიცავს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მასალას და უნიკალურია მრავალფეროვანი თემატიკით, ჩაწერა-დამუშავების მეთოდოლოგიითა და ტექნოლოგიით, სანდო წყაროა ქართველოლოგიის სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისათვის.

ტ. ფუტკარაძის თხოვნით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ასევე, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკებმა, კოლეგებმა (აკად. ქ. ლომთათიძე, პროფ. რ. თოფჩიშვილი, პროფ. ი. ასათიანი, პროფ. თ. გვანცელაძე, პროფ. ი. ჩანტლაძე, ვ. შენგელია...) დიალექტოლოგიის ინსტიტუტს გადმოსცეს წიგნები სპეციალობის მიხედვით; ამ გზით შეიქმნა სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ამჟამად მოიცავს 2000-ზე მეტ წიგნს (ძირითადად ლექსიკონები, ენათმეცნიერული, ეთნოგრაფიული, ისტორიული, ფოკლორული ხასიათის სპეციალური ლიტერატურა).

დღეს ცენტრს აქვს საკმაოდ მდიდარი წიგნადი ფონდი, რომელიც მუდმივად ივსება ახალი გამოცემებით. შეიქმნა ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დაცული წიგნების ელექტრონული კატალოგი.

2003 წელს აწსუ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მომძიებელთა ჯგუფების ბაზაზე შეიქმნა შემდეგი განყოფილებები: მეგრულ-ლაზური დიალექტური ტექსტების განყოფილება (ხელმძღვანელი ე. დადიანი; წევრები: ი. გაბელაია, ნ. ოკუჯავა), სვანური დიალექტური ტექსტების განყოფილება (ხელმძღვანელი ლ. ავალიანი; წევრები: ნ. ნაკანი, დ. ფირცხელანი), იმერული დიალექტური ტექსტების განყოფილება (ხელმძღვანელი მ. მიქაუტაძე; წევრები: ლ. რუსაძე, ე. ქავთარაძე), რაჭული დიალექტური ტექსტების განყოფილება (ხელმძღვანელი ო. ბანძელაძე; წევრები: დ. ბაკურაძე, გ. ზარქუა), ქალაქური სოციალური დიალექტური ტექსტების განყოფილება (ხელმძღვანელი დ. შავიანიძე; წევრები: ლ. ხაჭაპურიძე, რ. ხაჭაპურიძე), დიალექტური ტექსტების საგამომცემლო-სარედაქციო განყოფილება (ხელმძღვანელი რ. კაშია; წევრები: ც. ბენდელიანი, ლ. ლომთაძე, ი. ხურციძე) და ქართველური დიალექტებისა და კულტურის შესახებ უცხოენოვანი პუბლიკაციების შემსწავლელი განყოფილება (ხელმძღვანელი ნ. ოდილავაძე; წევრები: გ. ქამუშაძე, ს. ტყეშელაშვილი, ნ. დოგრაშვილი, ს. კუბლაშვილი).

2005 წელს დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ეწოდა ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

2011 წლის დეკემბერში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად

ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი **ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების სახელწოდებით** შევიდა უნივერსიტეტში ახლად ჩამოყალიბებულ სამეცნიერო-კვლევით ცენტრში. შეიცვალა ადგილსამყოფელი: ახალგაზრდობის გამზ., 98, აწსუ-ს XI კორპუსი, II სართული, ოთახი №201, 202. რეფორმას მოჰყვა საშტატო ერთეულების მნიშვნელოვანი შემცირება: კონკურსის შედეგად 19-დან დარჩა 3 თანამშრომელი: ე. დადიანი – მიმართულების ხელმძღვანელი, ტ. ფუტკარაძე – სამეცნიერო კონსულტანტი და დ. შავიანიძე – მკვლევარი. რამდენიმე თვით ხელშეკრულება გაუფორმდა 6 თანამშრომელს: ლ. ხაჭაპურიძეს, რ. ხაჭაპურიძეს, მ. მიქაუტაძეს, რ. კაშიას, ლ. ლომთაძეს და ლ. ავალიანს.

მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილება განხორციელდა **2017 წლის მაისში:** ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების ბაზაზე ჩამოყალიბდა **ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,** რომელიც ცალკე სტრუქტურულ ერთეულად შევიდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ცენტრის ხელმძღვანელი – ასოც. პროფ. ეკა დადიანი. ცენტრი განთავსდა აწსუ-ს III კორპუსში, III სართულზე (ოთახი №3301).

ცენტრი შედგება ორი მიმართულებისაგან:

I. **ქართველური დიალექტოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შემსწავლელი მიმართულება:** †ტარიელ ფუტკარაძე (მიმართულების ხელმძღვანელი); მაია მიქაუტაძე (მკვლევარი), დავით შავიანიძე (მკვლევარი), თინათინ მილორავა (მკვლევარი), თეონა მაჭავარიანი (მკვლევარი).

II. **უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი მიმართულება:** ავთანდილ ნიკოლეიშვილი (მიმართულების ხელმძღვანელი); ნესტან კუტივაძე (მკვლევარი), სულხან კუპრაშვილი (მკვლევარი), ლუკა დვალიშვილი (მკვლევარი).

ქართველოლოგიის ცენტრის მიზნები გაფართოვდა:

• ქართველური დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების მოძიება და კვლევა; ამ მიმართულებით სამეცნიერო პროექტების განხორციელება; სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა როგორც საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. დიალექტოლოგიური (ეთნოგრაფიული, ფოლკლორული) ტექსტების კორპუსის მომზადება;

• უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ისტორიის, კულტურული და ლიტერატურული მემკვიდრეობისა და ეთნიკური მახასიათებლების კვლევა; ასევე, ისრაელსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში დამკვიდრებულ ქართველ ებრაელთა ურთიერთობა საქართველოსთან და მათი როლი ქართული კულტურის ისტორიაში;

• ქართველოლოგთა პერიოდული საერთაშორისო კონფერენციის – „ქუთაისური საუბრების" ორგანიზება; სამეცნიერო ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის" გამოცემა;

• ცენტრის მიერ უკვე მოძიებული და მომავალში მოპოვებული მასალების საფუძველზე სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების მომზადებისათვის ხელშეწყობა; სტუდენტთა სამეცნიერო ექსპედიციებისა და კონფერენციების ორგანიზება. ზოგადად, სტუდენტთა ჩართულობის ამაღლება სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და მიღწეული შედეგების სასწავლო პროცესში მაქსიმალური ინტეგრირების უზრუნველყოფა.

2021 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელი მიენიჭა.

ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (resp. დიალექტოლოგიის ინსტიტუტის) მიერ სამი ათეული წლის განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო პროექტი, აქტივობა განხორციელდა.

1. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა **საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქუთაისური საუბრები“,** რომლის დამფუძნებელი და სულისჩამდგმელი ტარიელ ფუტკარაძე იყო. კონფერენციის სახელწოდება მაგალი თოდუას შემოთავაზება იყო.

პირველი „ქუთაისური საუბრები“ **1994 წლის 13-14 მაისს** გაიმართა. პირველი და მეორე „ქუთაისური საუბრები“ სამეცნიერო სემინარის ტიპის შეკრება იყო. მომდევნო, მესამე „ქუთაისური საუბრების“ ფორმატი შეიცვალა და ფართო მასშტაბი შეიძინა.

„ქუთაისური საუბრები“ ქართველოლოგთა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმია, რომლის მიზანია გარკვეული თეორიული პრობლემების გარშემო მეცნიერული აზრის მობილიზება, მსჯელობა აქტუალურ საკითხებზე... გასული საუკუნის 90-იან წლებში ეს იყო ერთადერთი ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია საქართველოში.

16 სიმპოზიუმი უშუალოდ ტ. ფუტკარაძის ხელმძღვანელობით ჩატარდა. XVII კონფერენცია კი უშუალოდ მას, კონფერენციის დამფუძნებელს, მიეძღვნა. ქუთაისური საუბრები – XVIII (9-10 ივნისი, 2023 წ.) ორმაგად საიუბილეოა; მიეძღვნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 90 წლისა და ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაფუძნების 30 წლის საიუბილეო თარიღებს.

იმ ურთულეს წლებში „ქუთაისური საუბრები“ იყო მეცნიერებისთვის თავისუფალი სივრცე, სადაც შესაძლებელი იყო სხვადასხვა დარგის მეცნიერების, ქართველოლოგების შეკრება და მსჯელობა-კამათი სამეცნიერო საკითხებზე. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ჰუმანიტა-რული დარგის სპეციალისტები როგორც ჩვენი ქვეყნის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებიდან, ასევე საზღვარგარეთიდან. სწორედ ამ სიმპოზიუმებზე გააქტიურდა პოლემიკა ქართველური ენობრივი სამყაროს სტრუქტურა-შედგენილობის შესახებ, სწორედ აქ გააცოცხლა ტ. ფუტკარაძემ (თავის თანამოაზრეებთან ერთად) მანამდე მივიწყებული თვალსაზრისი ერთი ქართული / ქართველური ენის შესახებ.

სიმპოზიუმი ტარდებოდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის მერიის მხარდაჭერითა და დაფინანსებით,

რაშიც ქალაქ ქუთაისის მაშინდელ მერს (1993-1995) და შემდეგ იმერეთის მხარის გუბერნატორს (1995-2003) თემურ შაშიაშვილს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის.

ტ. ფუტკარაძის ხელმძღვანელობით დიალექტოლოგიის ინსტიტუტის წარმატებულმა საქმიანობამ არაერთი „ავადმზირალი“ ადამიანი კეთილად განაწყო. დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველოლოგიისთვისაც და საკუთრივ ქალაქ ქუთაისისთვისაც. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო როგორც სამეცნიერო, ასევე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღირებულების მოვლენა.

2. „ქუთაისურ საუბრებზე“ წარმოდგენილი მოხსენებების აქტუალობამ და თემატურმა მრავალფეროვნებამ არსებითად განაპირობა იმის აუცილებლობა, რომ წაკითხული მოხსენებები სრული სახით დაბეჭდილიყო (მანამდე კონფერენციის პროგრამა და თეზისები იბეჭდებოდა). ტ. ფუტკარაძის ინიციატივით და ძალისხმევით დაარსდა სამეცნიერო ორგანო – **ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“.** სახელწოდება ზედმიწევნით გამოხატავს ჟურნალის პროფილს, მისი შექმნის მიზანს და დანიშნულებას: ის ემსახურება ქართველთა ენობრივ-კულტურული მემკვიდრეობის კვლევასა და პოპულარიზაციას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამის ნათელი დადასტურებაა ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებიც მოიცავს ქართველოლოგიის სხვადასხვა მიმართულებას. ჟურნალში იბეჭდება აგრეთვე ცენტრის თანამშრომელთა მიერ ჩაწერილი ახალი დიალექტური ტექსტები.

ჟურნალს აქვს თავისი გერბი – ოქროს საწმისი – სიმბოლო ქართველთა უძველესი და მდიდარი კულტურული მეკვიდრეობისა. განსაზღვრულია ჟურნალის ფორმატი, დიზაინი.

ჟურნალში სტატიის გაფორმების საერთო წესები, მოთხოვნები თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება.

ჟურნალს ჰყავს მრავალრიცხოვანი სარედაქციო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დარგის სპეციალისტები როგორც საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან და სამეცნიერო ცენტრებიდან, ასევე უცხოური უნივერსიტეტებიდან.

1997 წელს გამოვიდა ჟურნალის პირველი ნომერი. ტარიელ ფუტკარაძე იყო ამ ჟურნალის მთავარი რედაქტორი. დღემდე გამოცემულია 26 ტომი. ჟურნალის ყველა ნომერი განთავსებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე (https://atsu.edu.ge/EJournal/Kartvelology/).

2021 წელს ჟურნალმა მოიპოვა საერთაშორისო აღიარება; ის ინდექსირებულია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაში – ERIH PLUS-ის სისტემაში.

დაარსებიდან ჟურნალის პერიოდულობა არ დარღვეულა; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის აქტიური თანადგომით ის შეუფერხებლად და რეგულარულად (წელიწადში ერთი ნომერი) გამოდის.

დიდია ჟურნალის მნიშვნელობა არა მხოლოდ ქართველოლოგიის ცენტრის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-

კვლევითი საქმიანობის წარმოჩენის კუთხით, არამედ ქართველოლოგიის სფეროს განვითარებისათვის. ჟურნალში იბეჭდება როგორც გამოჩენილ მეცნიერთა, ისე ახალგაზრდა მკვლევართა ნაშრომები, რაც აუცილებელი ფაქტორია მეცნიერების წინსვლისათვის.

3. ქართველოლოგიის ცენტრში ტარიელ ფუტკარაძის სახელს უკავშირდება **სამეცნიერო და სტუდენტური ექსპედიციების** ორგანიზება. მისი უშუალო თაოსნობით 1993-2005 წლებში დიალექტოლოგიური ექსპედიციები განხორციელდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, სვანეთი, სამეგრელო, ხევსურეთი, ლეჩხუმი, იმერეთი), 2006 წლიდან კი – ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ტაო-კლარჯეთში. 2023 წლის ივნისში ცენტრის თანამშრომლები დიალექტოლოგიური ექსპედიციით იმყოფებოდნენ ფერეიდანში (ირანის ისლამური რესპუბლიკა).

ცენტრმა ჩაიწერა საინტერესო დიალექტური მასალა. განსაკუთრებით საშურია საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ არსებული, დავიწყება-დაკარგვისა და ნიველირების საფრთხის წინაშე მდგარი ქართველური ენობრივ-კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენა: ჩაწერილი მასალის სინქრონიული და დიაქრონიული სისტემური ანალიზი; დიალექტური ტექსტებისა და გამოკვლევების საინტერნეტო ვერსიის მომზადება და გამოქვეყნება. ექსპედიციები ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა თურქეთისა და ირანის ქართველებთან ურთიერთობის გაფართოება-გაღრმავების თვალსაზრისით.

1993-2012 წლებში ჩაწერილი მდიდარი ტექსტობრივი ბაზა (კასეტებზე არსებული აუდიომასალა) ამჟამად გაციფრულებულია (სულ 900-ზე მეტი აუდიოკასეტა).

ცენტრის მიერ მოპოვებული ახალი დიალექტური მასალა, დღემდე გამოქვეყნებული ტექსტებისაგან განსხვავებით, უნიკალურია მრავალფეროვანი თემატიკით, ჩაწერა-დამუშავების მეთოდოლოგიითა და ტექნოლოგიით; მაღალ მეცნიერულ დონეზე (ზუსტი ფონეტიკური წესების დაცვით) დამუშავებული ტექსტები სანდო წყაროა ქართველოლოგიის სფეროში მოღვაწე სპეციალისტებისათვის. დიალექტური მეტყველების ნიმუშებს თან ახლავს შესაბამისი აუდიომასალა, რაც კვლევის შედეგებს უფრო შთამბეჭდავსა და უნიკალურს ხდის. ცენტრის თანამშრომლების მიერ შევსებულია სხვადასხვა სახის დარგობრივი კითხვარი.

ახალი მასალის საფუძველზე დაიწერა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომები (მონოგრაფიები, სტატიები, თეზისები).

2015 წელს დაიბეჭდა ე. დადიანის `მეგრული ტექსტები (ხობი, ქვემო ქვალონი)". წიგნში წარმოდგენილია ერთი სოფლის მეტყველების ამსახველი დიალექტური მასალა, რომელიც თემატურად დალაგებული და სისტემატიზებულია, დაერთვის სრული პასპორტი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს არის საქართველოში პირველი გამოცემა, სადაც დიალექტურ ტექსტებს თან ახლავს შესაბამისი აუდიომასალა. ეს შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირთ, მოისმინონ და დააზუსტონ ამა თუ იმ ბგერის, სიტყვისა თუ ფრაზის სპეციფიკა, ფონეტიკური სიზუსტე, მეტყველების პროცესისათვის დამახასიათებელი სხვადასხვა ნიუანსი (ინტონაცია,

მახვილი, ხმის მოდულაცია...). ამ პრინციპით ცენტრში იგეგმება სხვა დიალექტური ტექსტების გამოცემაც.

ქართველოლოგიის ცენტრი ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტ-თან ერთად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ახორციელებს ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს. მასში მონაწილეობენ საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის, აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტები, ასევე, მაგისტრანტები, დოქტორანტები. მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა ინახება ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში.

ექსპედიციებს წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა პროფ. ტარიელ ფუტკარაძე. მის დაწყებულ საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი მოწაფეები: ასოც. პროფ. ეკა დადიანი, ასოც. პროფ. დავით შავიანიძე, ასოც. პროფ. მაია მიქაუტაძე, ასოც. პროფ. ლუიზა ხაჭაპურიძე.

4. ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით რეგულარულად ტარდება **სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები,** სადაც განიხილება დიალექტოლოგიური და ეთნოგრაფიული პრაქტიკა-ექსპედიციის შედეგები. ექსპედიციაში ჩართული სტუდენტები წარმოადგენენ ახალი მასალების საფუძველზე მომზადებულ მოხსენებებს. იბეჭდება კონფერენციის პროგრამა.

5. ქართველოლოგიის ცენტრი ახორციელებს სამეცნიერო პროექტს – **ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციას**, რომელიც 2007 წლიდან რეგულარულად ტარდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. XV კონფერენცია 2023 წლის 19-20 მაისს ჩატარდა.

კონფერენციაში მონაწილეობენ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტების მაგისტრანტები და დოქტორანტები, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდა მეცნიერების სამეცნიერო-კვლევითი შესაძლებლობების წარმოჩენა-გაღრმავებასა და მათ პროფესიულ განვითარებას.

6. ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის (resp. ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის) თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ **სხვადასხვა საგრანტო პროექტებში:**

ბოლო პერიოდში ცენტრის თანამშრომელთა ჩართულობით განხორციელდა რამდენიმე შიდასაგრანტო პროექტი, რომლის შედეგები მონოგრაფიის სახით გამოიცა:

- ფერეიდანი (ისტორიული და ფოლკლორულ-ლიტერატურული ნარკვევები). განმახორციელებლები: ა. ნიკოლეიშვილი (პროექტის ხელმძღვანელი); ნ. კუტივაძე, ს. კუპრაშვილი, ლ. დვალიშვილი. 2017-2020;
- ართვინი და ართვინის რეგიონი – წარსული და თანამედროვეობა (ისტორიულ-კულტუროლოგიური ნარკვევები). პროექტში ჩართული იყვნენ: პროფ. ა. ნიკოლეიშვილი (ხელმძღვანელი), ს. კუპრაშვილი (თანახელმძღვანელი), ე. დადიანი, ლ. დვალიშვილი, ნ. კუტივაძე, დ. შავიანიძე, მ. მიქაუტაძე... (ბრძანება №50 (20/21), 2021. აწსუ აკად. საბჭო. 2021-2022;

• დიალექტური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების კორპუსი. განმახორციელებლები: ე. დადიანი (პროექტის ხელმძღვანელი), მ. მიქაუტაძე, დ. შავიანიძე, თ. მილორავა, თ. მაჭავარიანი. 2020-2023;

• ნარკვევები საბჭოთა პერიოდის ქართული ემიგრაციის ისტორიიდან. განმახორციელებლები: ა. ნიკოლეიშვილი (პროექტის ხელმძღვანელი), ნ. კუტივაძე, ს. კუპრაშვილი, ლ. დვალიშვილი. 2020-2023.

7. ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს **მონოგრაფიები, კრებულები**, სხვადასხვა (ეროვნულ, უცხოურ) გამოცემებში დაბეჭდეს **სამეცნიერო პუბლიკაციები, დიალექტური ტექსტები;** მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა (ადგილობრივ, რესპუბლიკურ, საერთაშორისო) სამეცნიერო კონფერენციებში.

დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მემკვიდრე ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი აგრძელებს 30 წლის განმავლობაში ტარიელ ფუტკარაძისა და მისი გუნდის მიერ დაფუძნებულ ტრადიციებს და მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას წარმატებით იყენებს თანამედროვე გამოწვევებთან გასამკლავებლად.